

საქართველოს კონტროლის პალატა



მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობის შესახებ
საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან
დაკავშირებით

2009 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
1. წლიური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა	
1.1. შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა	4
1.2. არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა	7
2. წლიური ბიუჯეტის კანონით დაგეგმილი გადასახდელების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა	8
2.1. ბიუჯეტის დანახარჯების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა, დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით	9
2.2. ბიუჯეტის ხარჯების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	11
2.3. ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მდგომარეობა ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით	12
2.4. წლიური ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდების ხარჯვის მდგომარეობა	19
2.5. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე ფინანსური დახმარების განხორციელების მდგომარეობა	23
2.6. ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გადასახდელების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა	24
3. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და მისი დაბალანსების მდგომარეობა	27
4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	28
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	29

შ მ ს ა მ ა ლ ი

საქართველოს კონტროლის პალატის წინამდებარე მოხსენებაში მოცემულია საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვის“ (შემდგომში მოკლედ მოხსენიებულია როგორც: *ანგარიში*) ანალიზის და აუდიტის შედეგები, მისი შეფასება და რეკომენდაციები გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების თაობაზე; მოხსენება ასევე მოიცავს ინფორმაციებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ.

საანგარიშო პერიოდის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 2009 წლის პირველ ნახევარში საქართველოს, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა ეკონომიკა რეცესიის ყველაზე სიღრმისეულ ეტაპს გადიოდა; საქართველოს შემთხვევაში კი აღნიშნული მდგომარეობა დრამატულად დაამძიმა რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ, რომლის შედეგიც გახლავთ ეკონომიკური აქტივობის შემცირების გამო ფისკალური მაჩვენებლების შემცირება.

2008 წლის პირველი ნახევარი ეკონომიკური აღმავლობის თვალსაზრისით საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პერიოდი გახლდათ, რაც ართულებს 2009 წლის პირველი ნახევრის საბიუჯეტო პროცესის შედეგების, 2008 წლის პირველი ნახევარის შედეგებთან შედარებისას სათანადო დასკვნების გამოტანას.

მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

მოხსენების მომზადებისათვის გამოყენებულია: (ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 31 ივლისს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვა“, (ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშები და (გ) კონტროლის პალატის მიერ რიგ მხარჯავ დანესებულებებში კამერალური ფორმით ჩატარებული თემატური აუდიტის მასალები.

ზოგადი შეფასება/დასკვნა

ანგარიშში მითითებული სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული წლიური მაჩვენებლები შეესაბამება¹ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბრის №945-რს კანონით დამტკიცებულ იმ მაჩვენებლებს, რომლებიც შეცვლილია „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის №1410 - რს კანონით.

¹ იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიში შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის *2009 წლის 6 თვის (2009 წლის 1 ივლისამდე) პერიოდს*, ხოლო „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა 2009 წლის 11 ივლისს, ანგარიშის მონაცემები შეუსაბამობაში იყო კანონით დადგენილ თავდაპირველ საბიუჯეტო პარამეტრებთან

1. წლიური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული უემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

1.1 უემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

ბიუჯეტის პრობნოზი

ანგარიშის თანახმად 2009 წლის პირველი ნახევრისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2.208,0 მლნ ლარით ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 40,1%-ის ოდენობით.

ფაქტობრივი შესრულება

საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლების ფაქტობრივმა მოცულობამ შეადგინა 2,219,5 მლნ ლარი, რაც 0,5%-ით მეტია დადგენილ საპროგნოზო მაჩვენებელზე და წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის 40,3%-ს შეადგენს.

დინამიკა და ანალიზი

არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლების მოცულობა ადექვატურად ჩამორჩება 2008 წლის შესაბამის პერიოდში მიღებული შემოსულობების მოცულობას. ანგარიშისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული 8 თვის ოპერტიული ინფორმაციის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზებაში არსებულ ჩამორჩენას (2008 წლის შესაბამის მონაცემებთან შედარებით) არასახარბიელო ტენდენცია აქვს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მონაცემების 2008 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით 2009 წლის პირველ კვარტალში მიღებული შემოსავლების მოცულობა 3,8 პროცენტით ჩამორჩებოდა 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო 2009 წლის 6 თვის მიხედვით, იგი 12,6 პროცენტამდე გაიზარდა, რაც მეტნაკლებად ადექვატურად ასახავს მშპ-ს კლების დინამიკას.

2008 წლის 6 თვის შედეგების მიხედვით ბიუჯეტში მობილიზებული იყო დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების წლიური საპროგნოზო მოცულობის 46,5%, 2009 წლის 6 თვის გავნამელოებაში მობილიზებულია 40,3%.

საგადასახადო შემოსავლები

2009 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლების ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე რიცხული წინა პერიოდში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დაფარვის მიზნით წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების დიდი ოდენობით გამოყენებამაც.²

როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს ამ მიზნით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი მოცულობიდან (ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის კოდი - 23 10, საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ოდენობა - **190,0 მლნ ლარი**), საანგარიშო პერიოდში გამოყენებული იქნა 176,1 მლნ ლარი ანუ მთლიანი ასიგნების 92,7%. აღნიშნული ღონისძიების შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლები (2 024,0 მლნ ლარი) 8,7%-ით იქნა გაზრდილი.

ამრიგად, 2009 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტში რეალურად მობილიზებული შემოსავლების მოცულობამ 2.043,4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო საგადასახადო შემოსავლების კუთხით, კი - 1847,8 მლნ ლარი.

ანგარიშისა და სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული 2009 წლის 8 თვის ოპერატიული მონაცემების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით ყოველთვიურად მიღებული სახსრების ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მობილიზაციის ამჟამად არსებული ტემპების გათვალისწინებით შემოსავლების სახით მისაღები შემოსულობების რამდენიმე სახის მიხედვით შესაძლებელია გართულდეს შემცირებული წლიური პროგნოზების შესრულება.³

² იგულისხმება „წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დაფარვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის **2009 წლის 10 თებერვლის** №01-ს და **2009 წლის 12 მაისის** №361 განკარგულებებით გათვალისწინებული თანხები.

³ იგულისხმება „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის №1410-რს კანონით გათვალისწინებული ცვლილებით შემცირებული საპროგნოზო მაჩვენებლები და პარამეტრები.

საგადასახადო შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ **წლიური საპროგნოზო პარამეტრების შეუსრულებლობა** მოსალოდნელია ისეთი გადასახადების მიხედვით, როგორცაა: **საშემოსავლო გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი**, რომელთა **წილი** ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წლიურ საპროგნოზო მოცულობის (4.269,0 მლნ ლარი) **75,8%-ს** ანუ 3.228,0 მლნ ლარის შეადგენს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ ორი გადასახადის მიხედვით მიმდინარე წლის 8 თვეში მობილიზებულია 1.987,8 მლნ ლარი, ამასთან საშუალო თვიური შემოსავალი წლის დასაწყისიდან განვლილ პერიოდში შეადგენდა 248,5 მლნ ლარს, სავარაუდოა, ხსენებული გადასახადების წლიური საპროგნოზო პარამეტრის შესრულება გართულდეს, რას მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობასა და სეზონურობაზე.

საგადასახადო შემოსავლების სხვა სახეების ყოველთვიური მობილიზაციის ტემპების ანალიზიდან ჩანს, რომ ეს შესაძლოა **დანაკლისი შესაძლებელია ნაწილობრივ გადაიფაროს სხვა გადასახადების წლიური საპროგნოზო პარამეტრების გადაჭარბებით**, თუმცა ბიუჯეტის სხვა შემოსავლების ისეთ სახეებში, როგორცაა: **შემოსავლები საკუთრებიდან და ნებაყოფლობითი ტრანსფერები** გრანტების გარეშე, წლიური საპროგნოზო პარამეტრების მოსალოდნელი შეუსრულებლობა, სავარაუდოდ გააძნელებს ზემოთ ხსენებული პარამეტრის შესრულებას. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული 8 თვის შესრულების ოპერატიულ ინფორმაციაში ასახული მონაცემებიც, რომელთა მიხედვით სხვა შემოსავლების ზემოთ ხსენებული სახეების მიხედვით 2009 წლის წლიური საპროგნოზო პარამეტრის - 154,9 მლნ ლარის შესრულება **19,0%-ს** ანუ 29,5 მლნ ლარს შეადგენს და სავარაუდოდ გართულდება დარჩენილ პერიოდში გადახრის დაძლევა.

შემოსავლები საკუთრებიდან⁴

შეინიშნება ჩამორჩენა საკუთრებიდან შემოსავლებში, რომლის მიხედვით წლიური პროგნოზის (შესწორებული პროგნოზი - 146,7 მლნ ლარი) შესრულება 8 თვის მონაცემებით 20,0%-ს შეადგენს.

გრანტები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ისეთ სახეს, როგორცაა: უცხოეთიდან მისაღები ფულადი გრანტები, წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში ამ სახით სულ მიღებულია 85,0 მლნ ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული საპროგნოზო პარამეტრის (445,0 მლნ ლარი) 19,1%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად 2009 წელს მიღებული ფულადი გრანტების ფაქტობრივმა მოცულობამ 8 თვის მონაცემებით 154,9 მლნ ლარი შეადგინა (*2009 წლის 11 ივლისს მიღებული წლიური ბიუჯეტის შესწორებული კანონით გათვალისწინებული წლიური პარამეტრის (555,5 მლნ ლარი) 27,9%*). აღნიშნული პარამეტრის შესრულება წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში დამატებით, განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

1.2 არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების⁵ შედეგად მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

ბიუჯეტის პროგნოზი

ანგარიშიდან ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მიღებული სახსრების (ნაშთის გამოყენების გარეშე) მოცულობამ შეადგინა 241,0 მლნ ლარი, რაც 17,6%-ით მეტია საბიუჯეტო წლის პირველი ნახევრისათვის გათვალისწინებულ საპროგნოზო მაჩვენებელზე. არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობის სახით 2009 წლის პირველი ივლისისათვის მიღებულია 84,3 მლნ

⁴ პროცენტები, დივიდენდები, რენტა

⁵ სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები

ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების სახით - 156,7 მლნ ლარი.

ფაქტობრივი უმსრულება

მთლიანობაში შემოსულობების აღნიშნული სახეებიდან წლის პირველ ნახევარში მიღებული სახსრები შეადგენს თავდაპირველად დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური პროგნოზის (287,5 მლნ ლარი) 83,8%-ს, ხოლო 2009 წლის 11 ივლისს მიღებული შესწორებული წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული პროგნოზის 54,5%-ს.

ღინამიკა და ანალიზი

სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შესაბამისად, შემოსულობების ამ სახეების მიხედვით წლის მეორე ნახევარში (ივლის-აგვისტო) მობილიზებული სახსრების მოცულობამ საშუალოდ თვეში 21,6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლის პირველ ნახევარის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 18,6 მლნ ლარით ნაკლებია.

სახელმწიფო ქონებისა და ფასიანი ქაღალდების გასხვისებასთან დაკავშირებული პროცედურების სპეციფიკურობისა და აგრეთვე ივლის-აგვისტოში შემოსულობების ამ სახეებიდან ყოველთვიურად მიღებული სახსრების მოცულობის კლებამ შესაძლებელია წლიური საპროგნოზო პარამეტრების შესრულება გაართულოს.

2. წლიური ბიუჯეტის კანონით დაგეგმილი გადასახდელების მაჩვენებლების უმსრულების მდგომარეობა

ბიუჯეტის პროგნოზი და ფაქტობრივი უმსრულება

ანგარიშის მიხედვით, 2009 წლის 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასახდელების სახით გადახდილმა სახსრების მოცულობამ ფაქტობრივად შეადგინა 3.041,9 მლნ ლარი, რაც 6 თვის დაზუსტებული საგეგმო მაჩვენებლის 96,6 პროცენტი და შესაბამისად 2009 წლის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმის 44,4 პროცენტია.

ღინამიკა და ანალიზი

ხარჯების სახით გადახდილმა 2.427,4 მლნ ლარმა 6 თვის დაზუსტებული და შესაბამისად წლიურად დამტკიცებული

გეგმური მაჩვენებლების 97,5 და 46,2 პროცენტი, ხოლო სხვა გადასახდელების სახით გადახდილმა 614,4 მლნ ლარმა - 93,7 და 38,3 პროცენტი შეადგინა.

ანგარიშიდან ჩანს, რომ სხვა გადასახდელების მიხედვით მთლიანად გადასახდელების წლიური საგეგმო მაჩვენებლის შესრულების საშუალო დონიდან ჩამორჩენა, ძირითადად გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდში არაფინანსური აქტივების ზრდის⁶ სახით განხორციელებული გადახდების მოცულობის სიმცირით (წლის საგეგმო მაჩვენებლის 33,3%).

როგორც ცნობილია, 2009 წლის 11 ივლისს მიღებული შესწორებული წლიური საბიუჯეტო კანონის თანახმად არაფინანსური აქტივების ზრდის წლიური გეგმა 996,7 მლნ ლარიდან 1.017,0 მლნ ლარამდე გაიზარდა. სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად მიმდინარე წლის 8 თვეში გადასახდელების ამ მუხლით განხორციელებული გადახდები საგეგმო მაჩვენებლის მხოლოდ 52,6%-ს შეადგენს, მთლიანი გადასახდელების მიხედვით ფაქტობრივი შესრულების 59,5%-ის პირობებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში ამ მაჩვენებლის წლიური პარამეტრის შესრულებას შესაძლებელია გარკვეული სირთულეები შეექმნას. რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს დაფინანსების სრული მოცულობით მიუღებლობასთან (რაც არ არის მთლიანად გამორიცხული), ან შეფერხებებთან შესაბამისი პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაში.

2.1 ბიუჯეტის დანახარჯების მაჩვენებლების შესრულების ეფექტურობა დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფაქტობრივი შესრულება

ანგარიშის თანახმად წლიური ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 6 თვისათვის დაგეგმილი გადასახდელების შესრულებამ 2.759,2 მლნ ლარი ანუ დაზუსტებული გეგმის **96,5% შეადგინა**.

⁶ ქონების შექმნა, ქონების რემონტი ან გაუმჯობესება; ამ მიზნით დაგეგმილი/განეული ხარჯები

ექვსი თვის დაზუსტებული გეგმის შესრულების საშუალო დონესთან შედარებით ჩამორჩენა შეიმჩნევა დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის ისეთი სფეროების მიხედვით, როგორცაა: ეკონომიკური საქმიანობა (90,4%), გარემოს დაცვა (73,6%) და კულტურა და რელიგია (93,8%). დაფინანსების შედარებით მაღალი დონით გამოირჩევიან ისეთი სფეროები, როგორცაა: საბინაო-კომუნალური მეურნეობა (100,0%) თავდაცვა (98,5%) და სოციალური დაცვა (98,4%).

არათანაბარი დაფინანსების მაგალითები უფრო მკაფიო ხდება წლიური გეგმური მაჩვენებლებისა და საანალიზო პერიოდში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით განეული დანახარჯების ფაქტობრივი მოცულობების შედარებით. კერძოდ, წლიური ბიუჯეტის შესრულების საშუალო დონიდან (44,2%) ჩამორჩენა გამოვლინდა: განათლების (39,5%), ეკონომიკური საქმიანობის (34,5%), გარემოს დაცვისა (25,4%) და საბინაო-კომუნალური მომსახურების (11,9%) სფეროების მიხედვით. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების და საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროებში განხორციელებულმა დაფინანსების მოცულობამ კი, წლიურ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, შესაბამისად 47,0 და 52,6 პროცენტი შეადგინა.

წლიური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული 8 თვის შესრულების ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ამ დინამიკაში მკვეთრი ცვლილებები არ შეინიშნება და წლიურ გეგმასთან შედარებით დაფინანსების საშუალო დონიდან (59,5%) ჩამორჩენა შემცირებულია, მხოლოდ განათლების სფეროს დაფინანსების მიხედვით (57,9%).

2.2. ბიუჯეტის ხარჯების მაჩვენებლების შესრულების
მდგომარეობა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის
მიხედვით

ფაქტობრივი შესრულება

წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის დაზუსტებული გეგმა *შესრულებულია 97,5%-ით*. შესაბამისად, დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობამ 63, 2 მლნ ლარი შეადგინა, რაც ძირითადად მოდის საქონელი და მომსახურება (92,8%), სუბსიდიები (95,5%) და სხვა ხარჯების (95,4%) მუხლებზე, რომელთა მიხედვით გეგმის შეუსრულებლობა საერთო ჯამში 51,2 მლნ ლარია.

რაც შეეხება ხარჯების კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მდგომარეობას წლიურ გეგმასთან მიმართებაში, იგი როგორც ანალიზიდან ჩანს 46,2%-ის დონეზეა.

დინამიკა და ანალიზი

ხარჯების ცალკეული მუხლების შესრულების ანალიზიდან ირკვევა, რომ 6 თვის მონაცემების მიხედვით შესრულების საერთო დონიდან გარკვეული *ჩამორჩენა* შეიმჩნევა ისეთი მუხლების მიხედვით, როგორცაა: სუბსიდიები (37,9%) და სხვა ხარჯები (38,7%), ხოლო ისეთი მუხლების მიხედვით, როგორცაა: გრანტები (54,6%) და სოციალური უზრუნველყოფა (50,1%) დაფინანსების მოცულობა *მნიშვნელოვნად აღემატება* შესრულების საშუალო მაჩვენებელს.

სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად სუბსიდიებისა და სხვა ხარჯების მუხლების მიხედვით დაფინანსებაში არსებული *ჩამორჩენა შენარჩუნებულია* ბიუჯეტის 8 თვის შესრულების მიხედვითაც.

ხარჯების კლასიფიკაციის მიხედვით 2009 წლის 6 თვეში განხორციელებული ფაქტობრივი გადახდების მოცულობა, როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, მთლიანობაში 11.1 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდში განხორციელებული ფაქტობრივი გადახდების მოცულობაზე.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია ხარჯების ისეთი სახეები, როგორცაა: პრემიები - 5.5.

მლნ. ლარით (24,3%-ით), შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 1.8 მლნ. ლარით (26,1%-ით), ოფისის ხარჯები - 1.9 მლნ. ლარით (5,8%-ით) და სხვა საქონელი და მომსახურება - 15.6 მლნ. ლარით (21,1%-ით). უნდა აღინიშნოს, რომ, შემცირებულია ხარჯები ისეთი მუხლების მიხედვით, როგორცაა: მივლინებები (9,5%-ით), წარმომადგენლობითი ხარჯები (36,4%-ით), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (12,7%-ით) და სხვა.

2.3. ბიუჯეტის გადასახდელების უმსრულეობის ელემენტარობა ბიუჯეტის ორბანიაციული კლასიფიკაციის მიხედვით

ფაქტობრივი უმსრულეობა

ანგარიშის თანახმად მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით განერიღმა საბიუჯეტო ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ 6 თვის მონაცემებით 3.146,4 მლნ ლარი, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ დაგეგმილი მოცულობის 96,7% ანუ 3.041,9 მლნ ლარი შეადგინა.

დინამიკა და ანალიზი

საანგარიშო პერიოდში განეული ფაქტობრივი გადასახდელების მოცულობამ საშუალოდ დამტკიცებული წლიური ასიგნების 44,4% შეადგინა, თუმცა ცალკეული მხარჯავი დაწესებულების მიხედვით ადგილი აქვს წლიური პარამეტრის შესრულების საშუალო დონიდან გადახრებს. კერძოდ, როგორც ანალიზით დგინდება 46 მხარჯავი დაწესებულებიდან 13 დაწესებულების მიხედვით ადგილი აქვს შესრულების საშუალო მაჩვენებლიდან 10 და მეტი საპროცენტო პუნქტით გადახრებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ანგარიშის VI თავში, იქ სადაც მოცემულია ინფორმაციები ცალკეული მხარჯავი დაწესებულების მიხედვით 6 თვის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე, არ არის წარმოდგენილი სათანადო განმარტებები წლიური ბიუჯეტის შესრულების საერთო დონიდან მნიშვნელოვანი გადახრების გამომწვევი მიზეზების შესახებ, ვფიქრობთ, რომ სათანადო ობიექტური გარემოებების არ არსებობის პირობებში, ამ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით წლიური ბიუჯეტის დაგეგმვაში ანდა წლიური ბიუჯეტის

კვარტალური განწერის შედეგაში არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები, რომლებიც მოითხოვს გამოსწორებას.

კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგების განხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ბიუჯეტის შედეგისა და შესრულების პროცესში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით კონტროლის პალატის მიერ მიმდინარე წლის სექტემბერში მხარჯავ დაწესებულებებში ჩატარდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მდგომარეობის თემატური (კამერალური ფორმით) აუდიტები, რომელთა შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს მხარჯავ დაწესებულებათა ბალანსზე ირიცხებოდა ხანდაზმულ დავალიანებათა თანხები, რომელთა აღმოსაფხვრელად გასატარებელია ქმედითი ღონისძიებები. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ საანგარიშო პერიოდში, წლის დასაწყისთან შედარებით, კრედიტორული დავალიანების მოცულობა 40,6 მლნ ლარით გაიზარდა და 1 ივლისის მდგომარეობით 248,4 მლნ ლარი შეადგინა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ პარამეტრის სრულფასოვანი შეფასება შესაძლებელი იქნება ფისკალური წლის ბოლოს.

ცალკეულ შემთხვევებში გამოვლენილი იქნა საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობისა და ბიუჯეტის შესრულების თაობაზე ფინანსური ანგარიშების შედგენასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების ფაქტები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის პირველი ნახევრის ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ფინანსური აქტივების ზრდის მონაცემებს, მაშინ როდესაც, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის ხარჯების შესრულების შესახებ სახელმწიფო ხაზინის მონაცემების თანახმად, სამინისტროს ფინანსური აქტივების ზრდის მუხლში საკასო ხარჯი შეადგენს 10280,1 ათას ლარს. სამინისტროს ნაერთი ბალანსის ახსნა-განმარტებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული გარემოება ფინანსური აქტივების ზრდასთან დაკავშირებული პროექტების (სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტი“ და „თბილისის აეროპორტის რადარით აღჭურვის

ლონისძიება“) განმახორციელებელი ორგანიზაციების: სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ და შპს „საქართველსის“ მიერ სამინისტროსადმი შესაბამისი ინფორმაციის წარუდგენლობით არის გამოწვეული. თუმცა, სათანადო ნერილობითი მოთხოვნა პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიმართ, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა (შეუსაბამობა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტით მოცემულ რეგულაციებთან).

ანალოგიური ფაქტი დაფიქსირდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, კერძოდ სამინისტროს ნაერთ ანგარიშგებაში არ არის ასახული ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ხარჯები, რადგან აღნიშნული ორგანიზაცია არ წარმოადგენს სამინისტროს სისტემის დაწესებულებას და შესაბამისად არ აბარებს ანგარიშს სამინისტროს, თუმცა მისი ასიგნება (50 252.5 ათასი ლარი) სუბსიდიების სახით გათვალისწინებულია სამინისტროს, როგორც მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნაერთ ანგარიშგებაში ასახული მიმდინარე დანიშნულების გრანტები, კერძოდ, „ევროპისა და ცენტრალური აზიის კლიმატის ცვლილებების რისკის შესამცირებელ ღონისძიებათა განხორციელება“, „ბუნების დაცვის პროგრამა სამხრეთ კავკასია-საქართველო-ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“ – KFW და „ხარაგაულის სათემო ტყის საცდელი პროექტი“ – KFW, არ არის ასახული არც სამინისტროს და არც მის სისტემაში შემავალი რომელიმე საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშგებაში.

ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანიის მთავრობიდან (KFW) მიღებული გრანტების ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საბიუჯეტო სისტემის კონსოლიდირების პრინციპს, რომლის თანახმადაც ყველა

სახელმწიფო შემოსულობა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოექცეს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საბალანსო მონაცემებისა და სახაზინო სამსახურის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ სამინისტროს ნაერთი ბალანსის მიხედვით ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს 720829,6 ათას ლარს, ხოლო სახაზინო მონაცემებით გადახდა შეადგენს 717597,5 ათას ლარს, ანუ 3232,1 ათასი ლარით ნაკლებს. სხვაობა გამომწვეულია იმ ფაქტით, რომ სსიპ „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ ხარჯვას ახორციელებს როგორც სახელმწიფო ხაზინიდან, ასევე საბანკო ანგარიშებიდან. სახაზინო სამსახური პროექტების განმახორციელებელი ცენტრის საკასო ხარჯად აფიქსირებს დონორი ორგანიზაციების მიერ ჩარიცხულ თანხებს, ხოლო პროექტების განმახორციელებელი ცენტრი – საბანკო ანგარიშებიდან ფაქტობრივად გახარჯულ თანხებს, აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტების განმახორციელებელი ცენტრის მიერ სახაზინო სამსახურის მონაცემებთან შედარებით ნაჩვენებია 2830,7 ათასი ლარით მეტი ოდენობის დაფინანსება.

სახაზინო სამსახურში წარდგენილ ნაერთ ბალანსზე თანდართული განმარტების მიხედვით, სამინისტროს შეხება არ ჰქონია ცალკეული პროგრამების დასაფინანსებელი გრანტებისა და კრედიტების ხარჯვასთან. შესაბამისად, სამინისტროს ნაერთ ბალანსში, სახაზინო მონაცემებთან განსხვავებით, არ არის ასახული აღნიშნულ პროექტების ხარჯებზე ვალდებულების აღება და მოთხოვნა 214,3 ათასი ლარის ოდენობით, რაც შესაბამისად არც სამინისტროს ნაერთი ბალანსის საკასო ხარჯში (გადახდა) არ არის აღრიცხული.

სამინისტროს ნაერთი ბალანსის მონაცემებით გადახდა (საკასო ხარჯი 714005,7 ათასი ლარი) 4963,4 ათასი ლარით აღემატება მოთხოვნას (709042,3 ათასი ლარი), რაც გამომწვეულია იმით, რომ სამინისტროს ნაერთი ბალანსის მიხედვით მოთხოვნებში დაფიქსირებული აქვთ ხაზინის მონაცემები, ხოლო

გადახდებში – როგორც სახაზინო სამსახურიდან, ასევე კომერციული ბანკებიდან განხორციელებული გადახდების ჯამი.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში ადგილი ჰქონდა ბუნებრივი გაზის სექტორში სამშენებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების სხვა ხარჯების მუხლიდან 15000,0 ათასი ლარის ამავე ღონისძიების ფინანსური აქტივების მუხლში გადატანას, რაც აღნიშნული თანხის, ასპინძა-ახალციხის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, მთავრობის განკარგულებით შპს “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისათვის” საკრედიტო რესურსად გამოყოფით არის განპირობებული. უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ხსენებული ცვლილებებით არ შესრულდა “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონის 51³-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნების 10%-ის ფარგლებში. ფინანსთა მინისტრის მოადგილის სახელზე შედგენილ სამინისტროს 2009 წლის 21 იანვრის №06/147 წერილში მითითებულია, რომ დამტკიცებულ გეგმაში აღნიშნული ცვლილებების შეტანა წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანამდე საჭირო გახდა მთავრობის ზემოხსენებულ განკარგულებით განსაზღვრული დავალების შეუფერხებლად და დადგენილ ვადებში შესრულების მიზნით.

აღნიშნული ცვლილება წლიურ საბიუჯეტო კანონში შესულია 2009 წლის 11 ივლისის კანონით “საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, *საქართველოს უზენაესი სასამართლოს* ასიგნებებში („სხვა ხარჯების“ მუხლით) ორგანიზაციული კოდის მიხედვით გათვალისწინებულია „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის“ პროექტის დაფინანსება. პროექტს ახორციელებს და სრულად განკარგავს

გაერო. პროექტით გათვალისწინებული თანხების ხარჯვაზე ინფორმაციის უქონლობის გამო დებიტორული დავალიანება იზრდება (მომდინარეობს 01.01.2007 წლიდან.) და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება არაზუსტი და არარეალური ხდება. სასამართლოს წერილობითი მიმართვას, როგორც UNDP-ის პროექტის კოორდინატორის, ასევე სახაზინო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიმართ, მოეწოდებინათ დოკუმენტები ან დამოწმებული ასლები დაფინანსებისა და განუული ხარჯების შესახებ, შედეგი არ მოჰყოლია. ამრიგად, სასამართლოს მმართველობის სფეროში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა, რომლზედაც სასამართლო კონტროლს ვერ ახორციელებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები

წინა წლებისაგან განსხვავებით, ანგარიშის VIII თავში - „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიში“, წარმოდგენილია ცალკეული საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მხოლოდ 27 იურიდიული პირი) ბიუჯეტების შესრულების 6 თვის ფინანსური ანგარიშები და შემდეგ მათი ნაერთი ბალანსი, თუმცა ბუნდოვანია, რა მიზნით იქნა წარმოდგენილი ეს მონაცემები და რა კავშირშია ამ თავში მოცემული მაჩვენებლები ამავე ანგარიშის პირველ თავში მოცემულ ბიუჯეტის შესრულების ნაერთი ბალანსის მაჩვენებლებთან.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი განმარტებები იმის თაობაზე, თუ რა პრინციპით იქნა შერჩეული აქ წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და რატომ არ არის აქვე მოცემული სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საბალანსო მონაცემები.

ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულ ინფორმაციაში გარკვეულ სიცხადეს შეიტანდა ფინანსთა სამინისტროს მიერ წლიური ბიუჯეტის კანონის VII თავის - „მარეგულირებელი ნორმები“, მე-19 მუხლით განსაზღვრული დავალების შესრულების თაობაზე სათანადო განმარტებების წარმოადგენა, რაც სამნუხაროდ ანგარიშში მოცემული არ არის.

ანგარიშში მოყვანილი ნუსხის ანალიზით დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში ამ სუბიექტების მართვაში არსებული ფინანსური რესურსების მოცულობამ **194,7 მლნ ლარი შეადგინა**, საიდანაც 37% პროცენტი შეადგენს სახელმწიფო დაფინანსებას, 34,4% - განუელი მომსახურების შედეგად მიღებულ სახსრებს, ხოლო 28,5% - მიღებულ გრანტებს - ანუ განსხვავებულად იმართება დიდი ოდენობის საჯარო ფინანსები. ამ საკითხზე საგანგებოდ შეჩერება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულების მიერ *საჯარო სამართლის იურიდიულ პირების დაფუძნებამ ზრდადი* და საბიუჯეტო თვალსაზრისით გარკვეულწილად არასასურველი *ტენდენციის სახე მიიღო*, რადგან რეალურად სახელმწიფოს/ თვითმმართველობის მიერ განუელი მომსახურებით მიღებული შემოსავლები მიემართება არა საბიუჯეტო ანგარიშზე, არამედ სხვადასხვა კომერციულ ბანკებში გახსნილ საბანკო ანგარიშებზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულებაზე. ამასთან, არსებობს იურიდიული პირები, რომელთა შემოსავლის ერთადერთ წყაროს განუელი მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ როგორც წესი, *სახელმწიფო, მის მიერ კონტროლირებადი სუბიექტის მეშვეობით პროდუქციისა და მომსახურების ბაზარზე გვევლინება ეკონომიკურ აგენტად რაც, რიგ შემთხვევებში არასამართლიანია*.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამოკვლევით⁷ 2008 წელს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ კომერციული საქმიანობიდან მიღებული ბრუნვის მოცულობამ **182.4 მილიონ ლარს**⁸ მიაღწია და ეს ტენდენცია ზრდადია.

ვფიქრობთ *უნდა შემუშავდეს ერთიანი კონცეპტუალური მიდგომა*, თუ რომელ სერვისებს იტოვებს სახელმწიფო/თვითმმართველობა თვითონ და რომლის

⁷ <http://www.statistics.ge/press.php?plang=2&pform=-550>

⁸ ეს არის თანხა რომელიც არ მოექცა (არც იყო გათვალისწინებული) სახელმწიფო ბიუჯეტში.

განკერძობა (გასხვისება, მართვაში გადაცემა თუ სხვა) არის შესაძლებელი.

2.4. წლიური ბიუჯეტის უმსახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდების ხარჯვის მდგომარეობა

ბიუჯეტის პარამეტრები

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო (50,0 მლნ ლარი), საქართველოს მთავრობის სარეზერვო (50,0 მლნ ლარი) და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (123,0 მლნ ლარი).

დინამიკა და ანალიზი

ანგარიშის თანახმად საანგარიშგებო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან სხვადასხვა დროს გამოცემული განკარგულებებით გამოყოფილი ასიგნებების მთლიანმა მოცულობამ 51,2 მლნ ლარი, ხოლო ხაზინიდან განხორციელებულმა ფაქტობრივმა გადახდებმა 50,0 მლნ ლარი შეადგინა.

არასრულყოფილებით ხასიათდება ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის შესახებ. ანგარიშში არ არის მითითებული მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფაზე 2009 წლის 6 თვის განმავლობაში გამოცემული ყველა განკარგულება. კერძოდ ანგარიშში არ არის ასახული საანგარიშო პერიოდში გამოცემული 7 განკარგულება (ჯამური თანხა - 6 552 930 ლარი), შესაბამისად ინფორმაცია ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობის შესახებ არასრულია.

სარეზერვო ფონდების ხარჯვის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სარეზერვო ფონდების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში წლიურად გათვალისწინებული 100,0 მლნ ლარის ოდენობით ასიგნებებიდან წლის პირველი პირველ ნახევარში დაიგეგმა ამავე ოდენობის თანხის გამოყოფა, ფაქტობრივად განხორციელებულმა გადახდებმა კი 91,3 მლნ ლარი შეადგინა.

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ფიქსირებული ასიგნებების 2 პროცენტს. ბიუჯეტის შესრულების წარმოდგენილი მაჩვენებლების გათვალისწინებით რთულია დასკვნის გაკეთება რომ არსებობს ამ მოთხოვნის დაცვის მცდელობა (*წლის პირველ ნახევარში დაგეგმილი ფიქსირებული ასიგნებების მოცულობა შეადგენდა 2.185,0 მლნ ლარს, სარეზერვო ფონდებიდან გამოსაყოფი ასიგნებების მოცულობას უნდა შეედგინა არაუმეტეს 43,7 მლნ ლარი*).

აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობამ მიმდინარე საბიუჯეტო წლის დარჩენილ პერიოდში სარეზერვო ფონდებიდან გასაწევი ხარჯების კანონით დადგენილი ლიმიტების დაცვის პირობით მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს ამ ფონდებიდან ხარჯების განწევა.

სარეზერვო ფონდებიდან სახსრების ხარჯვის სისტემური მონესრიგების საჭიროებას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამ სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებზე არ ვრცელდება ამ კანონით დადგენილი პროცედურები - რაც, ***ამცირებს საჯარო ფინანსების მართვის საჯაროობისა და გამჭვირვალობის ხარისხს.*** ამავე კანონთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ მასში მოცემული რეგულაციების შესაბამისად, კანონის მოქმედება არ ვრცელდება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ***ქალაქ თბილისის სარეზერვო ფონდების*** სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებზე. ამავე დროს, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით დადგენილი პროცედურების დაცვა სავალდებულოა საქართველოს ყველა სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდებიდან თანხების ხარჯვისას. ვფიქრობთ ეს საკითხიც მოითხოვს ანალიზს და ერთიანი მიდგომის შემუშავებას.

არასრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიხედვით მომზადებულ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია. კერძოდ სარეზერვო ფონდებისაგან განსხვავებით, მასში არ არის ასახული ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრივი დანიშნულების შესახებ.

გამომდინარე აქედან, ანგარიშში (იხ.: გვ. 31) მოცემული ინფორმაცია - ფონდიდან წლის პირველ ნახევარში 68,0 მლნ ლარის გამოყოფის შესახებ, არ იძლევა ნათელ სურათს აღნიშნული ფონდიდან წლის პირველ ნახევარში გამოსაყოფი ასიგნებების დაზუსტებული გეგმის მოცულობისა და ასევე იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამებოდა მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფონდის მიზნობრივ დანიშნულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა სახის ფონდების შექმნისა და გამოყენების საკითხები მოითხოვს გადახედვას და საკანონმდებლო დონეზე მონესრიგებას, რადგან, თუ გავანალიზებთ დღეისათვის არსებულ სიტუაციას დავინახავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა სახელწოდებით მითითებული რიგი ფონდების და ღონისძიებების ძირითადი ნაწილი (გარდა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებისა), დანიშნულებიდან და გამოყენების წესებიდან გამომდინარე სარეზერვო ფონდების ხასიათს ატარებენ. აღნიშნულის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომლის მოცულობა სხვადასხვა საბიუჯეტო წლების მიხედვით 200-300 მლნ ლარს აღემატება და რომლის კონკრეტული მიზნობრივი გამოყენების მიმართულებების განსაზღვრა წლიური *ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ*, საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებების საფუძველზე ხდება. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ფონდის სახსრები უმეტესწილად გამოიყენება

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტებზე სპეციალური ტრანსფერების სახით გადაცემის მიზნით და ძირითადად ხმარდება ცალკეული მუნიციპალური (და არა რეგიონალური) პროექტებისა და ღონისძიებების დაფინანსებას, ვფიქრობთ, რომ ან: (ა) უნდა შემუშავდეს ამ საჯარო ფინანსების გამჭვირვალე მართვისა და გადანაცვტილებების მიღების მკაფიო რეგულაციები, (ბ) იგი უნდა გაუქმდეს და შესაბამისი მუნიციპალური პროექტის, პროგრამისა, თუ ღონისძიების დაფინანსებისათვის საჭირო ასიგნებები კონკრეტული თვითმმართველი ერთეულისათვის განისაზღვროს წლიური საბიუჯეტო კანონით. აღნიშნულით, გაუმჯობესდება ბიუჯეტის გამჭვირვალობის დონე და ამასთან, თუ ბიუჯეტში მოცემული იქნება ყოველი მუნიციპალიტეტების მიხედვით განსახორციელებელი ცალკეული პროგრამის, თუ ღონისძიებების დასახელება და დაფინანსების მოცულობა, გაიზრდება შესაბამისი თვითმმართველობის ორგანოების გამოცდილება და პასუხისმგებლობა; და ბოლოს, ცვლილებით შესაძლებელი გახდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული მიზნობრივი სახსრების გამოყენებაზე ეფექტური მონიტორინგის განხორციელება.

გარდა აღნიშნულისა, გამართლებული იქნება მხარჯავ დაწესებულებებზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე ასეთივე სახით გადანაწილება ისეთი ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული სახსრებისა, როგორცაა: წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და ადგილობრივი წყლის კომპანიების მხარდაჭერის ღონისძიებები, რომელთა განკარგვაც მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების გადანაცვტილებების საფუძველზე ხდება და ეს ღონისძიებები წლიური ბიუჯეტის კანონით არ არის განწერილი ცალკეულ მხარჯავ დაწესებულებაზე.

აღნიშნული კონცეფცია იძლევა შესაძლებლობას დაახლოებით 150 მლნ ლარამდე საბიუჯეტო ასიგნებების მიზანი და დანიშნულება, კანონით წლის დასაწყისისათვისვე იყოს განსაზღვრული.

2.5. ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის ფინანსური დახმარების ეფექტურობა

ბიუჯეტის პარამეტრი

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბერის კანონის შესაბამისად წლიურ ბიუჯეტში ავტონომიურ რესპუბლიკებზე და თვითმმართველ ერთეულებზე **ფინანსური დახმარების** ანუ გრანტების სახით გადასაცემი სახსრების წლიური მოცულობა განისაზღვრა **543,6 მლნ ლარით**.

ფაქტობრივი შესრულება

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით საანგარიშო პერიოდში ამ მიზნით გადასახდელი ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ და შესაბამისად შესრულებამ შეადგინა 367,3 მლნ ლარი ანუ წლიური ასიგნების **67,6 პროცენტი**, რაც 23,2%-ით აღემატება სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური ასიგნებების საერთო მოცულობის შესრულების საშუალო მაჩვენებელს (44,4%).

დინამიკა და ანალიზი

ანგარიშში მოცემული მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ **გადაჭარბება ძირითადად გამოიწვია წლის პირველ ნახევარში სპეციალური ტრანსფერის სახით დამტკიცებულ წლიურ ასიგნებაზე (201,0 მლნ ლარი) მეტი ოდენობით (212,3 მლნ ლარი) განხორციელებულმა ფაქტობრივმა გადახდებმა**, რის მიზეზსაც ძირითადად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი და გადახდილი სახსრები (68,0 მლნ ლარი) წარმოადგენს. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრების ასეთი სახით და ასეთი მოცულობით გამოყენება მიანიშნებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის ეტაპზე **ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზებზე**. როგორც ანგარიშში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადაცემული სპეციალური ტრანსფერის მთლიანი მოცულობიდან 30 პროცენტზე მეტი სწორედ ხსენებული ფონდიდან გამოყოფილ

სახსრებს შეადგენს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან და სხვა მიზნობრივი ღონისძიებების მიხედვით დამტკიცებული ასიგნებებიდან, ქვედა დონის ბიუჯეტებზე სპეციალური ტრანსფერის სახით გადაცემულმა სახსრებმა 51,2 მლნ ლარი შეადგინა.

ამრიგად, წლის პირველ ნახევარში ქვედა დონის ბიუჯეტებზე გადაცემული *სპეციალური ტრანსფერის* მთლიანი მოცულობის ნახევარზე მეტი ანუ 119,2 მლნ ლარი (56,2%) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილ დამატებით სახსრებს, რაც კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის ეტაპზე ქვედა დონის ბიუჯეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარების განსაზღვრაში არსებობს ხარვეზები.

2.6 ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გადასახდელების მაჩვენებლების უმსრულებლის ელემენტარობა

ფაქტობრივი უმსრულება

ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 6 თვის დაზუსტებული გეგმით გადახდების მთლიანმა მოცულობამ 305,7 მლნ ლარი, წლიურად დამტკიცებული გეგმური მაჩვენებლის 48,7% შეადგინა. ამავე პერიოდში განხორციელებული გადახდების ფაქტობრივმა მოცულობამ 302,6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც პროცენტების სახით გადახდილი ხარჯები 80,0 მლნ ლარს ანუ წლიური გეგმის 43,8%-ს, ხოლო ვალდებულებების კლება 222,6 მლნ ლარს ანუ წლიური დაგეგმილი გადასახდელის 50,1%-ს შეადგენს.

ღინამიკა და ანალიზი

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ვალდებულებების კლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელებული გადახდების მოცულობამ 5,2-ჯერ მოიმატა, რაც ძირითადად განპირობებულია საბიუჯეტო დაფინანსებაზე

მყოფი ორგანიზაციების მიხედვით წარმოქმნილი **საგადასახადო დავალიანების დაფარვისათვის** სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული 190,0 მლნ ლარის ოდენობით ასიგნებიდან, საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადანაცვებების საფუძველზე, წლის პირველ ნახევარში **176,1 მლნ ლარის გამოყოფით**. კერძოდ, 166,8 მლნ ლარი გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების, ხოლო 9,2 მლნ ლარი, გრანტის სახით, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების საგადასახადო დავალიანების დასაფარავად. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ **რა სახის საგადასახადო დავალიანებების დაფარვა მოხდა** აღნიშნული 9,2 მლნ ლარით და მთლიანად მიეკუთვნება თუ არა დავალიანების დაფარვის შედეგად მისაღები საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს.

აღსანიშნავია, რომ წლიური ბიუჯეტის კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ადგენს წინა პერიოდში წარმოქმნილი საგადასახადო შემოსავლების დავალიანებების დაფარვისათვის ავტონომიურ რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გადაცემის წესს, წინააღმდეგობაშია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან. კერძოდ, წლიური საბიუჯეტო კანონის თანახმად წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვისათვის საჭირო სახსრები ქვედა დონის ბიუჯეტებს უნდა გადაეცეთ **მიზნობრივი ტრანსფერის სახით**, მაშინ როდესაც, ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით მიზნობრივი ტრანსფერი არის მხოლოდ თვითმმართველი (და არა ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის) ერთეულისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

ანგარიშის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მუხლით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2009 წლის 6 თვეში გაცემულია 4 157 312,70 ლარი, საიდანაც **45,31%** გაიცა **ორ საჯარო დანესებულებაზე** (თვითმმართველი ერთეული და საჯარო სამართლის იურიდიული პირი), რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ დაფინანსებას, ხოლო დანარჩენი თანხა გაიცა 1000-ზე მეტ ფიზიკურ და კერძო იურიდიულ პირებზე. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ბიუჯეტის ამ ნაწილის ადმინისტრირება მოითხოვს სრულყოფას და გადაწყვეტილების მიღების მკაფიო მექანიზმების შემუშავებას.

ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის განხორციელებული გადახდების მთლიანი მოცულობიდან, სახელმწიფო ვალდებულებების (ანუ სახელმწიფო ვალის) მომსახურებისა და დაფარვისათვის ფაქტობრივი გადახდების მოცულობამ შეადგინა 125,9 მლნ ლარი, საიდანაც პროცენტების დასაფარავად მიმართული იქნა 80,0 მლნ ლარი, ხოლო ძირითადი ვალის კლებაზე 45,9 მლნ ლარი.

სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გადახდილი თანხის მთლიანი მოცულობიდან **საგარეო ვალების** მომსახურებაზე და დაფარვაზე განეულმა გადასახდებელმა შეადგინა 80,5 მლნ ლარი. 2008 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ სახის გადასახდებების ზრდა ძირითადად გამოწვეულია გასულ წელს ევრობონდების (*რომლის მოცულობა საგარეო ვალების მომსახურების მთლიანი ხარჯის 60,3%-ს შეადგენს*) სახით აღებული საშუალოვადიანი (5 წლიანი) საგარეო ვალის მომსახურებით.

2009 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით **საშინაო ვალის** მომსახურებისა და დაფარვის მიზნით გადახდილი ფაქტობრივი გადასახდებების მოცულობა თითქმის **5%-ით ნაკლებია** გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან

საქართველოს მთავრობამ დაინყო, 260,0 მლნ ლარის ოდენობის სახაზინო ვალდებულებების გამოშვების გზით აღებული, ახალი საშინაო ვალის მომსახურება და დაფარვა, მოსალოდნელია, წლიური შედეგების მიხედვით, მიმდინარე წელს სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა გადააჭარბოს გასული წლის შესაბამის მაჩვენებლებს.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო და მისი დაბალანსების გზომარეობა

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევრისათვის განსაზღვრული *სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების გეგმური მაჩვენებლები განსხვავდება წლიური ბიუჯეტით დადგენილი მაჩვენებლებიდან*, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საანგარიშო პერიოდში დაგეგმილმა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობამ ნაცვლად წლიური ბიუჯეტით დადგენილი დადებითი საოპერაციო სალდოსი (258,2 მლნ ლარი) გამოიწვია უარყოფითი საოპერაციო სალდოს (-282,7 მლნ ლარი) წარმოქმნა.

აღნიშნულისა და ასევე არაფინანსური აქტივების წმინდა ცვლილების გეგმური მაჩვენებლის გათვალისწინებით მთლიანი სალდოს დაზუსტებული გეგმური მოცულობა განისაზღვრა -600,5 მლნ ლარით, რომელიც უნდა დაბალანსებულიყო -722,2 მლნ ლარის მოცულობით ფინანსური აქტივების წმინდა ცვლილებით და -121,7 მლნ ლარის მოცულობით ვალდებულებების ცვლილებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს დაბალანსების მაჩვენებლების ანალიზიდან ჩანს, რომ წლის პირველ ნახევარში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული *ვალუტისა და დეპოზიტების კლების მაჩვენებელი*, რომელიც 629,4 მლნ ლარს შეადგენს, *107,2 მლნ ლარით აღემატება* წლიური ბიუჯეტის კანონით დადგენილ მაჩვენებელს (522,2 მლნ ლარი), თუმცა აღნიშნულის თაობაზე, წარმოდგენილი ანგარიშის IV თავში - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო“, სათანადო განმარტებები მოცემული არ არის.

რაც შეეხება ბიუჯეტის სალდოსა და მისი დაბალანსების ფაქტობრივ მდგომარეობას, როგორც ანგარიშიდან, ჩანს 2009 წლის პირველი ივლისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა -207,9 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ -445,3 მლნ ლარი, რაც ფინანსური აქტივების წმინდა ცვლილებით -581,7 მლნ ლარი და ვალდებულებების წმინდა ცვლილებით -126,4 მლნ ლარი დაბალანსდა.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის უმსრულეობის მდგომარეობა

ბიუჯეტის პრობლემა

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონით 2009 წლის 6 თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 6 362.36 ათ. ლარის ოდენობით, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (12083.88 ათ. ლარი) 52,65 %. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 880.37 ათ. ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 92.42 %-ი.

ფაქტობრივი უმსრულეობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებანი განისაზღვრა 12232.46 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 6623.22 ათ. ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 54.14 %-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 6026.72 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.99 %-ია. ამასთან, შერულების მაჩვენებელი 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს (89.2 %) 1.46 %-ით აღემატება. მიმდინარე წლის საკასო ხარჯები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 452.12 ათასი ლარით.

დინამიკა და ანალიზი

აფხაზეთის 2009 წლის 6 თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში *ქონების გადასახადის* სახით მობილიზებული იქნა 107,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის *მხოლოდ 21,4 %-ს* შეადგენს. საპროგნოზო მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ოდენობით შეუსრულებლობა გამომწვეულია იმ გარემოებით, რომ შპს

„ვარდნილჭესების კასკადი“ და შპს „ენგურჭესი“, რომლებიც ზემოაღნიშნული გადასახადის ბიუჯეტში მობილიზების ძირითადი წყაროს წარმოადგენდნენ და რომლებიც, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 276-ე მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **2007 წლის 27 აპრილიდან გათავისუფლებულ იქნენ ქონების გადასახადისაგან, 2009 წლის აპრილამდე აგრძელებდნენ ქონების გადასახადის გადახდას.** საგულისხმოა, რომ აღნიშნული გარემოება **2009 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას არ იქნა გათვალისწინებული** და საშემოსავლო ნაწილი ცდომილებით დამტკიცდა, ანუ სრულად არ იქნა დაცული „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის 6 თვეში განხორციელებული ბიუჯეტის დაზუსტება (აფხაზეთის 13.04.2009 წ. №6 საკანონმდებლო მაცნე), ძირითადად შეეხო ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილს, ამასთან ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლი, შემცირების კუთხით არ დაზუსტებულა.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

ბიუჯეტის ფეხოსავლების პარამეტრები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა 36690,7 ათასი ლარით განისაზღვრა. ფაქტიურმა შესრულებამ 33 013,9 ათასი ლარი **(გეგმის 90%)** შეადგინა.

დინამიკა და ანალიზი

2009 წლის 6 თვის საგადასახადო შემოსავლების გეგმა 26 700,0 ათასი ლარით განისაზღვრა, გეგმა შესრულებულდა **101,8 პროცენტით**, ანუ 486,8 ათასი ლარის გადაჭარბებით. სხვა შემოსავლების სახით გეგმური 1 040,7 ათასი ლარის ნაცვლად, მიღებულია **1 822,8 ათასი ლარი.** საანგარიშო პერიოდში არაფინანსური აქტივების პრივატიზების შედეგად მისაღები

შემოსავლები 8 950,0 ათასი ლარით დაიგეგმა. მიღებული იქნა 4 003,3 ათასი ლარი (გეგმის 44,7%).

2009 წლის 6 თვეში მხარჯავი დაწესებულებების მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი ხარჯების გეგმის შესრულება, რაც მათ მიერ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. ამდენად, არ იქნა შესრულებული “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის *გადასახდელები* საერთო მონაცემების მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სახსრების ჩათვლით, დამტკიცებული იქნა 59 642,0 ათასი ლარით. ამავე პერიოდში ხარჯების დაფინანსებამ 48 127,1 ათასი ლარი (გეგმის 80,7%) შეადგინა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული *მიზნობრივი პროგრამები*, 2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული იქნა 8 565,9 ათასი ლარით, ხოლო 6 თვეში კი 5 117,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების მიერ ათვისებული იქნა მხოლოდ 3 675,3 ათასი ლარი. ცალკეული პროგრამების შესრულების მხრივ ადგილი ჰქონდა ათვისების დაბალ მაჩვენებლებს, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის – საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ხაზით, რომლის შესრულებაც *10 პროცენტს* შეადგენს და ამავე სამინისტროს სკოლა-პანსიონების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაციის პროგრამის ხაზით, რომლის შესრულებაც *4,5 პროცენტს* შეადგენს.

ბ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები – სტაციონალური დახმარების პროგრამა, რომელიც *46,7 პროცენტითაა* შესრულებული, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი, რომელიც *62*

პროცენტითაა შესრულებული და ინკუბარელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი, რომელიც 39,1 პროცენტითაა შესრულებული.

გ) სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამა – სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა, რომელიც **54,9 პროცენტითაა** შესრულებული.

დ) საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიზნობრივი პროგრამების: ტყის განახლება და დაცვა, ეროზიულ ტერიტორიაზე ტყის გაშენება და აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის და ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის დაფინანსება **საერთოდ არ განხორციელებულა.**

აღნიშნული მხარჯავი დანესებულებების მიერ საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების მაჩვენებლები, **ბიუჯეტის არასათანადოდ დაგეგმვაზე მიუთითებს.** მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ეტაპები არ არის განერილი შესრულების პერიოდში, რამაც გამოიწვია რიგი პროგრამებით გათვალისწინებული ასიგნების აუთვისებლობა; შედეგად ვერ სრულდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.